პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ივლისი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 156 (14760)

საბჭოთა ზეიმით ეგებება კოსმოსის გმირებს

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

■ ივლისს მოსკოვი ჩვენი სამშობლოს სახელით გულთბილად და გულითადად მიესალმა „სოიუზ-9“ ხომალდით განხორციელებული თვალსაჩინო კოსმოსური რეისის მონაწილეებს. ხანგრძლივობის მხრივ ეს იყო რეკორდული ფრენა, რომელსაც თვრამეტი დღე-ღამის მანძილზე უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს მთელი მსოფლიო.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლში გამართეს დარბაზობა, რომლითაც გამოიხატა საყოველთაო-სახალხო საყვარული კოსმონავტებისადმი ი. გ. ნიკოლაევისა და ვ. ი. სევასტიანოვისადმი, სიამაყე მათი გმირობისათვის, იმ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა თვალსაჩინო დამსახურების აღიარება, რომლებმაც უზრუნველყვეს ფრენის წარმატებით განხორციელება.

კრემლის დიდი სასახლის გაჩირაღდნებულ გირაგის დარბაზში შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული პლენუმის მუშაობაში. აქ ჯიან მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, დედაქალაქის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლები, მხედართმთავრები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ყველანი ზეიმით მიესალმებიან კოსმოსის მპყრობელ მებრძოლებს.

კრემლში მოვიდნენ ისინიც, ვინც ქმნის ახალ სრულყოფილ კოსმოსურ ტექნიკას. მათ შექმნეს მძლავრი რაკეტები, რომლებსაც ზეცაში აჰყავთ ჩვენი საპლანეტათაშორისო სადგურები, თანამგზავრები და მართული ხომალდები. გმირ ეკიპაჟთან ერთად მათ შეუძლიათ კანონიერი სიამაყით თქვან: „პარტიის, სამშობლოსა და ხალხის დავალება წარმატებით შესრულდა!“. თავიანთი მეგობრების სახელით აზიარებენ კოსმონავტებიც, რომელთა სახელები შეტანილია სამყაროს ათვისების მატიანეში.

კრემლის დიდ სასახლეში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ატმოსფეროა.

18 საათია. დარბაზში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ა. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელეხტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მეკავიშვილი, ს. ტ. ტრაპეზნიკოვი, ფ. ნ. ტანკინი, ნ. ტ. ფედორენკო, ა. ნ. ბელეტინი, ნ. ნ. ბელოუსოვი, ნ. ნ. ბეკეტოვი, ა. ნ. ბეგიჩევი, ნ. ნ. ბეზმერტნი, ა. ნ. ბერეზინი, ნ. ნ. ბეტინოვი, ნ. ნ. ბიბეკინ, ნ. ნ. ბოგოლუბოვი, ნ. ნ. ბოიკოვი, ნ. ნ. ბოლოტნიკოვი, ნ. ნ. ბორეიკო, ნ. ნ. ბოროდინი, ნ. ნ. ბოროვიკოვი, ნ. ნ. ბოსოვი, ნ. ნ. ბუტეიკინ, ნ. ნ. ბუტეიკინ, ნ. ნ. ბუტეიკინ

მსოფლიო დღეს

სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამა

უცხოეთის პრესა ფართოდ აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის კალენდარს. მუშაობას. გაზეთები აქვეყნებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ვრცელ შინაარსს, შოჟიაკეთ ძირითადი დებულებანი და მონაცემები საგზოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, რომლებსაც მოხსენება შეიცავს.

ბრაღა. „სოფლის მეურნეობა ფურაღდების ცენტრშია“, „მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“, „დიდი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ ცნობებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ ჩეხოსლოვაკიის გაზეთები. „რუდე პრავო“ და „ზემედელსკე ნოვინიმ“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს მოხსენების ვრცელი შინაარსი და ხაზი გაუსვეს იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი საბჭოთა სოფლის მეურნეობაში.

ბრატისლავის „პრავდა“ ხაზს უსვამს მომხსენებლის განცხადებას, რომ ცენტრალური ამოცანა უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცება.

სოფია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ბულგარეთის დღევანდელი გაზეთების ცენტრალური თემაა. დიდი სათაურებით „საბჭოთა სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცება“, „საბჭოთა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ფართო პროგრამა“ ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ცნობები პლენუმის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსი.

გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოხსენების იმ თავებს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს მარცვლეულის მოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იქნება, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, რომ უახლოესი წლების მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყონ დიდი წარმადობის ახალი მანქანებით. „ტრიბუნა ლუდუს“ მოჰყავს მოხსენების დასკვნითი სიტყვები, რომ სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადება უთუოდ გამოიწვევს კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის ახალ აქტივობას. (საკდესი).

სკკპ-ის საბჭოს სესია

პარიზი, 3 ივლისი. (საკდესი). დღეს მანილაში დამთავრდა ვაშინგტონის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი სამხედრო ბლოკის — სეატოს საბჭოს ორი დღის სესია. სესია, რომელიც დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა, როგორც აღნიშნავენ, მიეძღვნა უმთავრესად ამერიკის აგრესიის მხარდაჭერის ინდოჩინეთში. ამას მოწმობს აგრეთვე კომუნიკე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ტაილანდისა და ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს. პაკისტანის მანილელმა ელჩმა, რომელიც სესიას ესწრებოდა უარი თქვა შეერთებოდა ამ კომუნიკეს. საფრანგეთი საერთოდ ბოიკოტს უწევდა მანილის სესიას.

მოგზაურობა ფოტოაპარატით

● კონგო

საგჭოთა პედაგოგების დახმარებით

მიმდინარე წელს კონგოს სახალხო რესპუბლიკის სკოლებში 200.000-ზე მეტი კაცი სწავლობს. ახლა სკოლაში დადის სასკოლო ასაკის თითქმის ყველა ბავშვი. ბავშვების სწავლებაში დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა მასწავლებლებს.

• • •

ხუთათზე: გაკეთებული ქალაქ დოლიზის ერთ-ერთ სკოლაში. გაკეთილს ატარებს ლენინგრადელი მასწავლებელი მიხაილ ნიკულინი.

საკდესის ფოტოქრონიკა.



● ბირმა

ბასეინის ახალშენებლობანი

პროგრამის — „ბირმის გზა სოციალიზმისაკენ“ შესაბამისად ბირმის რევოლუციური საბჭოს მიერ განხორციელებულ პროგრამულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისთვის განათლების მიღება და უფასო სამედიცინო დახმარება. აშენდა მრავალი ახალი სკოლა და საავადმყოფო.

სურათზე: ახალი სოფლის საავადმყოფო ქალაქ ბასეინში.

ლენინის ძეგლი ჩილეში

სანტიაგო, 4 ივლისი. (საკდესი). ჩილეს ქალაქ ლა-სერენის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ერთ-ერთ ქუჩას დაარქვას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი. ეს გადაწყვეტილება მიღებულია მსოფლიო პროლეტარიატს ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც ფართოდ იზეიმეს ამ ქალაქში.

თავდასხმები გრძელდება

კაირო, 4 ივლისი. (საკდესი). არც ერთი დღით არ წყდება ისრაელის მხედრიონის ცდები დარტყმა მიაყენოს სუეცის არხის ზონაში დისლოცირებულ ეგვიპტის ჯარებს. 3 ივლისს ხუთსაათნახევარში ისრაელის „ფანტომისა“ და „სკაიჰოკის“ ტიპის 34 ავიაგამანადგურებელბომბდამშენი თავს დაესხა სუეცის არხის გასწვრივ, ზაიფარანის, აშ-შალუფის, ფაიდისა და ელ-კანტარის რაიონებში განლაგებული ეგვიპტის ჯარების პოზიციებს. ეს ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენის საინფორმ გამოაქვეყნა.

თავდასხმების დროს დაჭრეს სამი ეგვიპტელი ჯარისკაცი.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

პარტიზანები უტევენ

ამანი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც აქ გამოაცხადა პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა, პალესტინის ორგანიზაცია „ალ-ასიფის“, პარტიზანებმა გუშინ ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ისრაელთა გასამხედროებულ დაბა ნევ-ურს.

მღელვარება ოლსტერში

ლონდონი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც ბელფასტიდან იუწყებიან, ჩრდილოეთ ირლანდიაში ვითარება უღრესად გამწვავდა. ხშირად ხდება შეტაკებანი. გუშინ დილით ოლსტერის დედაქალაქში ერთდროულად მოხდა ორი აფეთქება, რომელთა შედეგად დაიგრა არმიის გასაწვევი პუნქტის შენობა ქალაქის ცენტრში. უცნობი ექსტრემისტები ცდილობდნენ ცეცხლი წაეკიდებინათ კათოლიკური სკოლისათვის.

აქ კვლავ ჩამოდის ინგლისის ჯარების ახალ-ახალი კონტინგენტები, რომლებსაც გზავნიან კონსერ ფატორთა მთავრობის გადაწყვეტილებით. ინგლისის ჯარების დასმარებით ოლსტერის ხელისუფლები აძალიერებენ რეპრესიებს. ინგლისელი ჯარისკაცების ყოფნა მხნეობას მატებს ჩრდილოირლანდიელ „ულტრებსაც“, რომელთა აზრით მთავრობა საკმაოდ მტკიცედ არ მოქმედებს. 500 პროტესტანტმა ექსტრემისტმა მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გადაყენონ პრემიერ-მინისტრი ჩიჩესტერკლარკი იმის საფუძველზე, რომ თითქოს დათმობაზე მიდის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის წინაშე. ამიელი მესანგრეები ბარიკადებს აშენებენ ოლსტერის ქუჩებში, რომლებიც განული კვირის დამლევს სისხლის მღვრედ შეტაკებათა ასპარეზად გადაქცეა.

აგრესორთა დანაშაული

პანოი, 4 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა სამხედრო დანაშაულის გამომძიებელმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის მარტელ ექვს თვეში ამერიკის უპილოტო და პილოტირებულმა მზვერავმა თვითმფრინავებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაში განახორციელეს 11.160 თვითმფრინავგადაფრენა.

ნახევარ წელიწადში ამერიკის ავიაციამ მათ შორის „B-52“-ებმა 548-ჯერ დაბომბა და ცეცხლი დაუშინა 17 ოლქსა და ქალაქს. შორეულ მედავაე 134 დასახელებულ პუნქტს, სადაც ჩამოყარა 7.750 ფუგასური, 335.800 საფანტიანი ბომბი და 1.068 რაკეტა.

ამავე პერიოდში ამერიკის არტილერიამ დემილიტარიზებული ზონის სამხრეთ ნაწილიდან და მე-7 ფლოტის ხომალდებიდან 174-ჯერ დაუშინა ცეცხლი დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 6 თემს და ამ ზონის მეზობლად მდებარე თემებს. სულ აქ ჩამოგდებულია 2.948 ნაღმი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის ავიაციის თავდასხმების მოგვრიებისას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა ნახევარ წელიწადში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 109 თვითმფრინავი.

ერთი ატომური აფეთქება

პარიზი, 4 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გუშინ 18 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით წუნარი ოკეანის მურუროას ატოლზე განხორციელდა დიდი სიმძლავრის ექსპერიმენტული ატომური მოწყობილობის აფეთქება.

უცხოეთის პრესიდან

ლონდონს წყალდიდობა ემუქრება

რაც დრო გადის ლონდონს სულ უფრო მეტად ემუქრება ამ ქალაქის ისტორიაში ყველაზე უდიდესი წყალდიდობა. ამ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, რომლებიც დაკვირვებას ახდენენ ტემზის მუდმივად მზარდ დონეზე. მათ აუფრთხილეს მოაქცეს იმასაც, რომ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ლონდონი მდებარეობს, ყოველ 100 წელიწადში 30 სანტიმეტრით ეძირება ჩრდილოეთის ზღვის წყლებში. ყველაფერი ეს ზრდის მაღალი მოქცევის და მასთან ერთად ტემზის უბეში წყლის დონის მკვეთრი ამაღლების საშიშროებას. ჩრდილოეთის ზღვიდან 80 კილომეტრზე მდებარე ლონდონის მრავალმილიონიანი მოსახლეობა შეშფოთებულია წყალუხვი მდინარით.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და საბინაო მშენებლობის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა რ. ფრისონმა ამას წინათ განაცხადა, რომ ყოველმა მოქცევამ, რომელიც ატყობტება 1953 წლის დონეს, როცა ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებთან წყალდიდობა მოხდა, შეიძლება აურაცხელი უბედურება გამოიწვიოს. გარდა ადამიანთა მსხვერპლისა მან შეიძლება 1 მილიარდი გირვანქა სტერლინგის მატერიალური ზარალი მოახდინოს. ფრისონმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ მოქცევა გაზაფხულის წყალდიდობა და წვიმების პერიოდს ან თოვლის ძლიერი დნობის პერიოდს დაემთხვა, მაშინ კატასტროფა ლონდონისათვის გარდუვალი იქნება.

ყველაზე დიდი წყალდიდობა ინგლისში მოხდა 1928 და 1953 წლებში.

1928 წელს ტემზამ დაფარა ქალაქის ცენტრალური რაიონი—ვესტმინსტერი, სადაც არის პარლამენტი და მრავალი ისტორიული ძეგლი. მდინარემ დიდი ზიანი მიაყენა სახვითი ხელოვნების მუზეუმს —ტეიტის გალერიას და ტაუერის ციხე-სიმაგრეს. 1953 წელს მოქცევის ორნახევარი მეტრი სიმაღლის ტალღამ, რომელიც ტემზის უბეში შემოიჭრა, თან წაიღო 300 კაცის სიცოცხლე. თვით ლონდონი არ დაზიანებულა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქცევამდე მცირე ნაღელვი მოვიდა, რის გამოც მდინარის წყლის დონე მაღალი არ იყო.

ამჟამად ლონდონის დაახლოებით 1 მილიონ 200 ათასი კაცი ცხოვრობს ქვარტალებში, რომლებიც ადრე ტემზის წყალმა დაფარა, და დაახლოებით 1 მილიონ 500 ათასი კაცი ყოველდღიურად მდიდ.ან სამუშაოზე. გარდა ამისა, წყალდიდობის დროს მეტროს ზოგიერთი ხაზი შეიძლება საფანგად იქცეს მრავალი ათასი მგზავრისათვის.

ინგლისელმა მეცნიერებმა დამუშავეს ტემზაზე დამბის პროექტი. მარმან წარმატებით გამოსცადეს დამბის დიდ მაკეტზე. ლონდონისა და მისი გარეუბნების წყალდიდობისგან დაცვის ეკონომიტები. დიდი ლონდონის საბჭომ წინადადება დამბის მშენებლობის შესახებ შეიტანა პარლამენტში გასსახილველად. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი თუ სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყება, საჭიროა იქნება მინიმუმ შვიდი წელი წყალდიდობისაგან საკმაოდ ეფექტური ჯებირის ასაგებად.

„რა-2“ მიზანს უახლოვდება

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს. ინტერნაციონალის საგეგტო კლირუოტერიდან (ფლორიდის შტატი) იუწყება, ბაპირუსის ნავი „რა-2“, რომელიც ატლანტის ოკეანის გადაცურვას აპირებს, შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევით გემს „კალამარს“, რომელიც სპეციალურად გამოვიდა 26 ივნისს ბაპირუსის „კონვოიერის“ შესახვედრად. შეხვედრა მოხდა 580 მილზე ბარბადოსის კუნძულის — ნაოსნობის საბოლოო მიზნის — ჩრდილო-აღმოსავლეთით. ნავმა უკვე გაიარა 2.634 მილი.

„45 დღის მოგზაურობის მანძილზე, — განაცხადა ამ არაჩვეულებრივი „ოდისეის“ ხელმძღვანელმა ტურ ჰეიერდალმა, — **„რა“ ეკიპაჟმა პირველად დაინახა ახალი სახეები. მას შემდეგ, რაც 17 მაისს ნავი გავიდა საფის ნავსადგურიდან** (მაროკო), **არ გვინახავს არც ხომალდები, არც თვითმფრინავები“.**

შეკითხვაზე, თუ როგორ გრძნობენ თავს „რა-2“ ნავის ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრები, ჰეიერდალმა თქვა: **„ნავზე ყველაფერი ნორმალურად მიდის“.**

ტელ-ავივი ქმაყოფილია

პარიზი, 3 ივლისი. (საკდესი). ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ება ებანმა „ღრმა კმაყოფილება გამოთქვა“ სატელევიზიო ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონის განცხადებათა გამო.

„ადამიანთა ზოოპარკი“ გვიანაში

სამხრეთ ამერიკაში მდებარე საფრანგეთის ზღვისიქითა დეპარტამენტში — საფრანგეთის გვიანაში შეტყობენ იმდიელთა ტომები სწრაფი გადაშენების პირას არიან მისული, წერს ფრანგი ჟურნალისტი ერვე პონშელე თავის რეპორტაჟში, რომელიც გაზეთმა „ფიგარომ“ გაშოქვეყნა.

ამჟამად იქ სულ 1600 ინდიელი შემორჩა, მაშინ როცა, მისიონერების ცნობების თანახმად, XVII საუკუნეში საფრანგეთის გვიანაში, კერძოდ, მდინარე ოიაპოკის ნაპირებზე დაახლოებით 13.000 ინდიელი ცხოვრობდა. გადარჩენილები იძულებით ასიმილაციას განიცდიან.

საფრანგეთის გვიანის ინდიელები ორ ჯგუფად მეიოლება გაიყოს. უდიდესი ნაწილი დაახლოებით 1000 კაცი — ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობს, ესენი არიან ვარაოკაესი, გალიბისები და პალიუურსის ტომები. მრავალი წლის მანძილზე ევროპელების მიერ მათი ექსპლოატაციის შედეგად, როგორც წერს „ფიგარო“, ისინი „ნამდგილ პროლეტარებად“ იქცნენ. სურინამის მოსახდვრე ტროპიკულ ტყეებში შემორჩენილია ვაიანსების, ემერილლოსისა და ოიამბის ტომების 600 წარმომადგენელი.

ეს „ტყის ინდიელები“ შესანიშნავი მონადირეები, მებადურები და მიწათმოქმედნი არიან. ისინი ეწევიან ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. მათი საცხოვრებელი წარმოადგენს უკიდლო, პალმის ტოტებისაგან დაწნულ სახურავიან დიდ ქოხს.

საფრანგეთის ტურისტული ფირმები საფრანგეთის გვიანის ინდიელებს იყენებენ „სარეკლამოდ“. ინდიელთა სოფლები მარონის ბლატოზე (სურინამის საზღვართან) გადაქცეულია „ადამიანთა ზოოპარკად,“ რასაც დიდი მოგება მოაქვს გაჭნილი საქმოსნებისათვის.

„საფრანგეთის გვიანის ინდიელი საოფიციალ იყიდება. და ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ უკანასკნელი ინდიელი არ მოკვდება“... — დასასკვნის რეპორტაჟის ავტორი.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ყრილობა

ბაღდადი, 3 ივლისი. (საკდესი). ჩრდილოეთ ერაყში გალალის რაიონში მიმდინარეობს ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის VIII ყრილობა. ყრილობაზე გამოვიდა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე მუსტაფა ბარზანი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქურთთა პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებას შესახებ შეთანხმების განხორციელებას და ქურთი ხალხის მტკიცე ერთიანობის უზრუნველყოფას.

ბარზანიმ გამოთქვა რწმენა, რომ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ბაასის პარტიასთან და ქვეყნის ეროვნულ ძალებთან თანამშრომლობით შეძლებს საფუძველი ჩაუყაროს სამართლიანობასა და მშვიდობას“.

ყრილობაზე გამოვიდა მმართველი პარტიის ბაასის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რომელმაც წარმატებული მუშაობა უსურვა დელეგატებს.

თავის პოლიტიკური მოხსენებაში ყრილობაზე ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰაბიბ ქერიმმა აღნიშნა, რომ ერაყში ეროვნული ფრონტის შექმნა მთავარი პირობაა იმისათვის, რომ ერაყის ხალხმა შეასრულოს მის წინაშე დასახული დემოკრატიული ამოცანები.

ჟორჟ პომპიდუ: „ბირმის გზა სოციალიზმისაკენ“

ბირმის რევოლუციური საბჭოს მიერ განხორციელებულ პროგრამულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისთვის განათლების მიღება და უფასო სამედიცინო დახმარება. აშენდა მრავალი ახალი სკოლა და საავადმყოფო.

სურათზე: ახალი სოფლის საავადმყოფო ქალაქ ბასეინში.

„სოიუზ-9“-ის ფრენა: ჩვენი კომენტარი

კოსმონავტი დედამიწაზე დაბრუნდა

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-9“-ის ფრენამ ბევრი ახალი ინფორმაცია მოუტანა მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებათა სპეციალისტებს. დიდმნიშვნელოვანი ფაქტებით გამდიდრდნენ კოსმოსური ბიოლოგია და მედიცინა. დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კოსმონავტების ხანგრძლივი ყოფნა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად შევისწავლოთ ორგანიზმის მდგომარეობა უწონობის, დედამიწის მიზიდულობასთან ადამიანის შემდგომი მიჩვევის უჩვეულო პირობებში, კოსმოსის ათვისებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სხვა პრობლემები.

„პრავდის“ კორესპონდენტი შეხვდა ხომალდის ფრენის სამედიცინო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და ესაუბრა მას იმ პრობლემებზე, რომლებიც ექიმების წინაშე ისახება ფრენისათვის კოსმონავტების მომზადების დროს და ფრენის დამთავრების შემდეგ.

— იმედი მაქვს ინჟინრებს არ გამანაწყენებენ, თუ ვიტყვი, რომ დედამიწაზე დაშვების ეტიმენტიდან მათი კვლევითი ციკლი ძირითადად მთავრდება და შემდეგ იწყება მასალების გამიფრვა, ანალიზი,— ასე დაიწყო ჩემმა თანამოსაუბრემ. — ექიმებისათვის კი დედამიწაზე დაშვებით მთავრდება კვლევის მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპი, ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია დედამიწის პირობებიდან კოსმოსის პირობებზე გადასვლისას ადამიანის მდგომარეობის შეფასებასთან, შესწავლასთან. ახლა ჩვენ მივიღეთ აგრეთვე ძალიან დიდი მასალა უწონობის პირობებში ხანგრძლივი ყოფნისა და „დედამიწასთან ადამიანის შემდგომი შეჩვევის“ შესახებ.

კოსმონავტი დედამიწაზე დაბრუნდა, და მისი ორგანიზმი კვლავ უნდა შეეგუოს ჩვეულ ვითარებას. ეს საკმაოდ დაძაბული პროცესია. ერთგვარი ანალოგიის გატარება შეიძლება იმასთან, თუ როგორ გადმოდის ნაპირზე მეზღვაური, განსაკუთრებით ის მეზღვაური, რომელმაც დიდხანს იმოგზაურა ჰატარა ხომალდებით. ერთი სიტყვით, შემდგომი რეადაპტაციის — დედამიწის პირობებთან შეჩვევის — შესწავლა კვლევის დიდი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია.

როგორც ექიმმა, უნდა ვთქვა, რომ კოსმონავტებმა გაცილებით უფრო ადვილად გადაიტანეს ფრენის საკმაოდ მძიმე პირობები, ვიდრე მოველოდით. ხომალდ „სოიუზ-9“-ის დაშვების წინ მე და ე. ელისეევი საკმაოდ დიდხანს ვმსჯელობდით ამაზე, თუ რაშია საქმე, რა არის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, დეტალური ანალიზის შემდეგ შეიძლება.

როცა „სოიუზ-9“-ის სტარტის წინ ექიმები ხვდებოდნენ ჟურნალისტებს, გაკვირვებული **მსჯელობის „ანსნა“** ასეთი იყო: არ შეიძლება მათი ერთ ოთახში მოთავსება — ნახევარი თვის განმავლობაში ერთმანეთს თავი მოაბეზრესო“. გვაინტერესებდა: როგორი იქნება კოსმონავტების რეაქცია? ანდრიან ნიკოლაევმა, ორი ოთახი რომ დაინახა, მაშინვე იკითხა: ეს რა საჭიროა? ავუხსენით. და მაშინ ორივემ მტკიცე პრეტენზია განაცხადა:

— არა, ჩვენ ერთად გვინდა ვიყოთ.

მაგრამ კოსმონავტების მდგომარეობა მაინც რატომ აღმოჩნდა შეუდარებლად უფრო კარგი, შრომისუნარიანობა უფრო მაღალი, ვიდრე მოველოდით? საერთო სიტყვებით, ალბათ შეიძლება ითქვას, რომ მთავარია ფრენისათვის მომზადების მეთოდების ცვლილებები, საკმაოდ არსებითი ცვლილებები და მისი პროგრამის ზოგიერთი ცვლილება. ა. ელისეევი, მაგალითად, ღრმად დარწმუნებულია, რომ ხომალდში ფიზიკურმა ვარჯიშმა, ფიზიკური მომზადების სპეციალურმა სტენდმა დადებითი როლი შეასრულა.

რამდენადმე სხვანაირად, ვიდრე წარსულ ფრენათა შემდეგ, მოიწყო დედამიწაზე კოსმონავტების ყოფნის პირველი ეტაპიც. ჩვენ ვთხოვეთ სახელმწიფო კომისიასაც, ყველა სპეციალისტსაც კოსმონავტები გარკვეული დროით „გადაეცათ“ კოსმოსური მედიცინის განკარგულებაში და არა მარტო იმიტომ, რომ გვინდა მოვახდინოთ მათი იზოლაცია, დავაკვირდეთ ისინი, არამედ იმიტომაც, რომ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს თვალი გავადევნოთ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ორგანიზმის რეადაპტაცია, შეგუება. ვარსკვლავეთის ქალაქში ერთ-ერთი სათავისი გაყოფილია მინის კედლით. და ჯერჯერობით კოსმონავტებთან „შესვედრის“ გაფრენისათვის რომ ამზადებდნენ, ექიმები აფრთხილებდნენ კოსმონავტებს ამის შესახებ. ეუბნებოდნენ: „ბიჭებო, მზედვალობაში იქნინეთ, ფრენის მეორე ნახევრის შემდეგ შეიძლება დავა ავიტყდეთ ერთმანეთთან. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ოვიქროთ, რომ თქვენი დავა, ასე ვთქვათ, დაპროგრამებულია დედამიწაზე, რომ ის აუცილებლად უნდა მოხდეს. დავა კიდეც რომ მოგვიდეთ, ეს იქნება უხერხულობისაგან, დაღლილობისაგან. დავის ნამდვილი მიზეზი კი არა გაგვთ“. მაგრამ ჩვენ აქაც შევცდით, რამაც ყველას კმაყოფილება მოგვგვარა. ფრენის დროს არავითარი კონფლიქტი არ მომხდარა.

კითხვა: თუ იყო კრიტიკული მომენტი კოსმონავტების მდგომარეობაში ფრენის დროს?

— კრიტიკული? არა გეგონია... „კრიტიკულის“ ცნებაში ხომ ნახტომის ან დაძაბულობის ელემენტია. კვლევის ეტაპებში ჩვენ განვიხილავდით როგორც „კრიტიკულს“ — მაგრამ კრიტიკულს ჩვენთვის და არა კოსმონავტებისათვის — ორ მომენტს. ჯერ ფრენის პირველი 3-4 დღე. ეს დღეები დამახასიათებელია იმით, რომ „მიწიერი“ კოსმონავტი ნამდვილი კოსმონავტი ხდება. იგი გადის უწონობასთან შეხვედრის რთულ პერიოდს, ორგანიზმის გარდაქმნის პერიოდს. ასეთი გარდაქმნა თითქმის ყოველთვის საკმაოდ მძიმეა. სხვათა შორის, ეს გარდაქმნა ყველაზე მკაფიოდ აკვიწერა გ. ტ. ბერეგოვომ. მახსოვს, მან ძალიან მოხდენილად თქვა, თითქოს დრო დაყოვნდაო. „გეგონია, — გადმოგცემდა იგი თავის შეგრძნებებს, — დრო ნელ-ნელი, გაჭიანურებული ხდება“, რა თქმა უნდა, ეს სუბიექტური შეფასებაა. სიზუსტეებში ხდება არა დროის დაყოვნება, არამედ მოძრაობის პროცესის გართულება.

ბევრისათვის ცნობილია ასეთი მარტივი ექსპერიმენტი. ერთმანეთის გვერდით დგამენ პატარა და დიდ საწონებს. გარეგნულად ისინი ერთნაირია, მაგრამ მორე ღრუა და ნაკლებს იწონის, ვიდრე პატარა. ამ შემთხვევაში დიდი საწონი რომ ასწიოთ, ხელი მაღალ აიტანებთ. საქმე ის არის, რომ წინასწარ თითქოს დაპროგრამებულია გარკვეული ძალის დასარჯვა ამ საწონის აღებაზე. რაღაც ამის მსგავსი ხდება თავდაპირველად კოსმოსშიც. თუ ვერ ისწავლე კონტროლი გაუწიო შენს მოძრაობებს, ისინი არაზუსტი, ზედმეტად გაჭანგული გამოგიჯვა. ეს კი ხელს შეუშლის ნორმალურ მუშაობას... ასეთი ათვისების პროცესი ჩვეულებრივად 3-4 დღეს გრძელდება.

შემდეგ. მეორე შედარებით კრიტიკული მომენტი დადგა, როცა გადაეჭარბებს ფრენის ადრე მიღწეულ ხანგრძლივობას. თუმცა ამ დღეებში არსებითად არაფერი არ შეცვლილა. თქვენ ალბათ ყურადღება მიაქცეთ იმ ცნობას, რომ რამდენადმე შემოკლდა ფრენაში ექსპერიმენტებისა და მუშაობის რაოდენობა. უნდა ვთქვა, რომ ეს კოსმონავტების შრომისუნარიანობის შემცირებასთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ დაჯდომისათვის მზადებასთან. პროგრამა წინასწარ ითვალისწინებდა, რომ დაჯდომამდე ორი-სამი დღით ადრე კვლევის მოცულობა შემცირდებოდა. საერთოდ კი ეკიპაჟმა კოლოსალური მუშაობა გასწია.

კითხვა: რით აიხსნება, რომ ახლანდელი ფრენის შემდეგ კოსმონავტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებად მიხაწვდომი არიან პრესისათვის, ტელევიზიისათვის და ალბათ ყველა გარშემომყოფთათვისაც?

— ამ ფრენის დატვირთვა არაჩვეულებრივად დიდი იყო, და ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს გაძლიერებული მგრძნობელობა სხვადასხვა ინფექციებისადმი. დიდი დროის მანძილზე კოსმონავტები ხომ ისეთ არეში იმყოფებოდნენ, რომელიც მიკრობიოლოგიური პლანით საკმაოდ „დაძაბული“ იყო. დედამიწაზეც კი დასუფთავ სივრცე ქმნის „დაძაბულ“ ვითარებას ადამიანისა და მიკროფლორის ურთიერთმოქმედებაში. ახლა ჩვენ მივიღეთ ხომალდის ბორტზე მიკროფლორის, მისი დინამიკის გაშლილ დასასიათებას. სპეციალისტებს მიაჩნიათ და ამას წინათ ლენინგრადში კოსმოსის კვლევის საერთაშორისო კომისიის სესიაზე ეს ხაზგასმით აღინიშნა, — რომ დაბშული სივრცის პირობებში მიკროორგანიზმთა ზოგიერთი ფორმები სწრაფ განვითარებას იწყებენ. ადამიანი, როგორღაც ეჩვევა შექმნილ პირობებს, ორგანიზმის დამცავი რეზერვები მიკრობების გარკვეული ჯგუფისაკენ „წარიმართნიან“. ამის შემდეგ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ პირობებთან შეხვედრა შესაძლოა არასასიამოვნო იყოს. ბუნებრივია, ჩვენ მოვიფიქრეთ კარანტინის ღონისძიებანი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა სჯობს „გაამუქო საღებავები“, ვიდრე გაუფრთხილებლობა დაუშვა.

კითხვა: რა შეიძლება ითქვას ფრენის ხანგრძლივობის გადიდების შესაძლებლობებზე?

— ამჟამდე მტკიცე ფაქტები კოსმოსური ფრენის შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ პრაქტიკულად ცოტა იყო. იყო მხოლოდ ჰიპოთეზები. მე, მაგალითად, შესაძლოა, უკიდურესი ჰიპოთეზებიც მომხრე ვიყო. ვფიქრობ ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივია კოსმოსში, ფრენის შესაძლებლობანი შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე ჩვენ წარმოვგიდგენია. მაგრამ ეს, ვიმეორებენ, ჰიპოთეზებია, რომლებიც, სიერთად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ საკმარისი არ არის დადასტურებული მასალებითა და ფაქტებით. მაგრამ ფრენის ეს 18 დღე ალბათ საფუძველს მოგვცემს გავაკეთოთ პროგნოზები უფრო ხანგრძლივი დროისათვის.



სიონიზმის დოლარის ამუნიცია

„რაბოტნიჩესკო დელო“, სოფია.

ფრთები

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ფრინველი ფრენს ფრთითა,
ქალი თავის ქმრითა!

ამდენჯერ გაგვიგონია ეს პოეტური და ბრძნული თქმა ხალხში, ისეა, ისეა აუცილებელად, როგორც არ უნდა თავისებურად „დავეკაკადეს“ დღეს ქალი, მას მაინც ფრთები სჭირდება, საყრდენი სჭირდება, ულოის ღირსეული გამწევი სჭირდება. ქალისათვის, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრისათვის, არაფერი არ არის ამაში დამამცირებელი. იგი ეძიებს ძლიერ საყრდენს, ბურჯს. იყო დრო, როდესაც ქალს ხელმძღვანელი ორგანოებიდან სჭირდებოდა მხარის დაჭერა. ბევრს ახსოვს, ალბათ, ჩვენი ცხოვრების ეს ეტაპი, — პარტიულ კომიტეტებში ქალთა განყოფილებები იქნა ჩამოყალიბებული, გასაქირში ჩავიდრდნილ ბევრ ქალს გაუწოდა ხელი დახმარების ამ განყოფილებებმა, გადაალახვინა სიძნელეები, შეუქმნა შესაფერი პირობები ცხოვრებისა, შრომისა, შეუშრო ალბათ ცრემლიც, მოჰგვარა შვება. ამ განყოფილებებმა თავისი კეთილშობილური როლი ბრწყინვალედ განახორციელეს. ქალს, თუნდაც საკუთარ ოჯახში, ერთგვარი შელავათი უნდა მიეცეს. დღევანდელობამ განახორცა ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გასვლა, ამდენად მის ძირითად, სისხლხორცეულ ვალს ახალი, კეთილშობილური ვალი მიემატა. ქალი არასოდეს არ უმტყუნებს პირველს, ე. ი. კვლავინდებურად გაიჩენს, დაბრდის, აღზრდის შვილებს. მოუვლის ოჯახს, მეუღლეს და ამავე დროს, მეტ წილ შემთხვევებში, გარეთაც ვადის — მსახურობს. მაშ მიემატა ქალს შრომა, ხომ არ დაიკლა? ამდენჯერ უფრო სჭირდება მას საყრდენი. ეს საკითხი ფიქრებს მილიონობით ადამიანს და კვლავაც დაფიქრებს. ამიტომაც გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „თქვენი ქმარი“ მეტად დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ წლევანდელ 18 მარტის ნომერში დაბეჭდა ეს წერილი. მე მომეცა საშუალება გავეცნობოდა ქართველ მკითხველთა გამოხმაურებას. „კომუნისტში“ ასეთი წერილების დენადობა დღესაც არ შეწყვეტილა. ჩანს, ჩვენი მკითხველები გულმხურვალედ მოეკიდნენ ლ. ოჩაკოვსკაიას სტატიაში აღძრულ საკითხებს, იკამათეს, აღელდნენ, იბაეკრეს და შემდეგ „კომუნისტის“ რედაქციას გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები.

მაშ ასე: თქვენი ქმარი! როგორი არის იგი. როგორი უნდა იყოს იგი. და რაც მთავარია, რანი ვართ, როგორნი ვართ ჩვენ მათთვის? ო, ეს ადამ და ევადან წამოჭრილი საკითხი საუკუნეებს დენამ უფრო გაართელა, გაალრმავა, მე ვიტყოდი, — აამაღლა კიდეც. სამთხზეში ცდუნებას ბრძად ყოლილი ქალის ნაცვლად, ქმრის ნიბოდან გამოღებული ქალის ნაცვლად ახალი, თავდაწეული, დამოუკიდებელი ქალი — პიროვნება რომ ჩამოაყალიბა. ამდენად თანასწორთა ჯიდილი შექმნა. მაგრამ ჯიდილი-მეთქი, რათ წამომცდა? განა ქალსა და მამაკაცს შორის, მეუღლეთა შორის, ინტერესთა შეხვედრას, შეჯახებას, მღვრიის დაწმენდას (შეთანხმების აუცილებელ პირობას) „ჯიდილი“ უნდა ერქვას? მაგრამ, ნიშნავს თუ არა შეთანხმება ერთის მორჩილებას, მეორის პრიმატს? რასაკვირველია, არ უნდა ნიშნავდეს. თუმცა, როგორც შემოსული წერილების ერთი ნაწილიდან ჩანს, ასეთი შეთხვევებიც საკმაოდ არის ოჯახებში. მაგრამ, საბედნიეროდ, წერილთა დიდი უმრავლესობა გვიდასტურებს, რომ მთ ოჯახებში შეთანხმება ნიშნავს — შეხმატკბილებას, ურთიერთგაგებას, პატივისცემას, ანგარიშის გაწევას, და დათმობას იქ. სადაც ეს გამართლებულია. მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს ასეთი ბარათებიდან:

„კარგად მესმის, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ძლიერება დამყარებულია მტკიცე, მყარ ოჯახზე. ნამდვილ კომუნისტურ ოჯახს ვერ ააშენებ, თუ იგი დამყარებული არ არის ცოლ-ქმრის ურთიერთგაგებაზე, პატივისცემაზე, დათმობაზე“ (ქ. ონი. პედაგოგი ე. ლებანიძე). თითქმის ამასვე იმეორებს პედაგოგი ც. ქოქოსაძე ამბროლაურიდან: **„ჩემი აზრით, ქალი მუდამ ქმრის ღირსებისა და მისი კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდეს. ცოლსა და ქმარს შორის უნდა იყოს ურთიერთ პატივისცემა, რაც აუცილებელია მტკიცე ოჯახის შექმნისათვის, მტკიცე და პატიოსანი ოჯახი ხაფუძველია ჯანსაღი თაობის აღზრდისა“.**

აბა, გადაიკითხეთ თელაველი დიასახლისის — **ხოფო ოთხმაშვილის** გაკრული ხელით ნაწერი გულწრფელი სტრიქონები. იგი ოცდაათი წელია დედაბოძად შესდგომია თავის ოჯახს, რომელშიც სამი უმაღლესი განათლების მქონე შვილი აღუზარდა სამშობლოს. რამდენ ახალგაზრდა ოჯახს უწინამძღვრებს მისი გამოცდილება. **„მე და ჩემი მეუღლე ძალიან ღარიბები ვიყავით: ერთი ხელი ლოგინი, ერთი ხის ტახტი და ექვსი ცალი თეფში იყო ჩვენი ავლადიდება. ამნაირ მდგომარეობაში მყოფებს უფრო შეგვიყვარდა ერთმანეთი, ისე შევთვისეთ და გავუგეთ ერთმანეთს, რომ რასაც ერთი გავიფიქრებდით, მეორეც ისა ვგრძნობდით. პატიოსანი შრომით შევქმენით ტკბილი ოჯახი... არ მახსოვს. რომ ჩვენ სერიოზული უთანხმოება მოგვსვლოდა. თუ ერთის აზრი არ ეთანხმებოდა მეორისას, დიდხანს ვმსჯელობდით მეგობრულად, კი არ ვჩხუბობდით. ნამდვილად ვმსჯელობდით. ბოლოს ერთ აზრს ვადგებოდით. და სიმშვის ვაგვარებდით. მაგრამ ასე როდი იქცევა ყველა, უბრალო რამეზე ნაიკიდებიან ხოლმე და ერთი ვიოუშვეულებელი უდგათ... მე ვფიქრობ, ყველაფერს თანასწორობა სჭობს. ქალიშვილმაც და ვაჟმაც თავისი შესაფერისი მოძებნონ და სიყვარულით შეირთონ ერთმანეთი. ვამრიგებლებსა და „სარფიანებს“ ერიდონ“.**

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წერილების ავტორთა უმრავლესობა პედაგოგები გახლავან. მათ, რასაკვირველია, არც ფრაზა შეეშლებათ, და არც დამამტკიცებელი ან გამაქარწყლებელი საბუთების მოყვანა. მაგრამ არის წერილები, სადაც ორთოგრაფიულად თუ სინტაქსურად სეოდაგენ, სამაგიეროდ უცოდველი გულწრფელობით გიპყრობენ. ეი ერთი მათგანი: „მეც ასე მესმის. რაც წერილში „თქვენი ქმარი“ სწერია, სიმართლეა, ასე უნდა იყოს — ქალი მონა არ არის. მაგრამ ქმარს კი უნდა უფრთხილდეთ და ვამგონე იყოს. მე სწორედ ასე ვიქცევი და ტკბილადაც ვცხოვრობთ ოჯახში. დიახ, ასეა, და თუ გნებავთ, მეწვიეთ სახლში, ჩვენი ნაშრომი პურიც ბევრი გვაქვს, ღვინოც და სხვა რამეც. ქეთევან ნახუცრიშვილი. სოფელი ოქიო, ახმეტის რაიონი“.

ძვირფასო ქეთევან, სტუმროთით შეიძლება ვერ გესტუმროთ, მაგრამ ის გვახარებს, რომ თქვენი ოჯახის დარი პატიოსანი, შრომისმოყვარე ოჯახები მრავლად ამშვენებს ჩვენს საქართველოს.

მეუღლეთა შორის ურთიერთგაგებას, ურთიერთ პატივისცემას თვლიან კარგი ოჯახის ბირველ ქვაკუთხედად მრავალი წერილის ავტორები. მათ შორის: ჩხოროწყუს რაიონის მთავარი ექიმი ალ. მიქაია, ქარელის რაიონის სოფ. ფცის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. ამბოკაძე, ჩხოროწყუელი სტამბის მუშა ე. კვირკველია, ცხაკაიას რაიონის ს. თელათის კოლმეურნე ბ. გვირია, ონის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. ლებანიძე და სხვანი, რომლებიც თუნდაც ორიოდე ფრაზით იწონებენ ლ. ოჩაკოვსკაიას სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს. მაგრამ საქმეს მთლად ასე ნუ წარმოვიდგენთ. მკითხველთა ერთი ნაწილი ედავება ლ. ოჩაკოვსკაიას. განსაკუთრებით აღელვება ზოგიერთი მათგანი სტატიაში მოყვანილმა ასეთმა ფრაზამ: **„ასე რომ გაუფრთხილდით ქმრებს, ისინი გზაზე როდი ყრიან.“** თუმცა იქვე დასძენს: **„თუმცაღა იქნებ ვინმე არც მეთანხმებაზ?“** დიახ, პატივცემულო მეგობარო, არიან ჩვენში ისეთი მკითხველები, რომლებმაც ამ ფრაზაზე ასე მოგიგეს: **„არც კარგი ცოლები ყრიან გზაზეო“.** (თბილისელი კოსმეტოლოგი ჭ. იაშვილი. ქარელის რაიონის სოფ. ფცის საშუალო სკოლის მასწავლებელი **მარიამ როინიშვილი**). ახლა კი ისეთ წერილებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სადაც ძალიან უბრალოდ რომ ვთქვათ, დაკოდილი გულები ჰკვიხან. ეს გულები თავიანთ სითბოს ოჯახს, შვილებს, მახლობელ ადამიანებს ჰფენენ. ჰფენენ ისე, რომ თავად ეხარკებიან. მაგრამ არც ნანობენ. ოღონდ... ყველაზე ახლობელ ადამიანს არა ეესმის რა ამ გულისა. არად აგდებს მის შეჭს. ის კი არა და, აჭრობს ეხეშობით. ავყიოთ: ამ ქმრებზე მოგახსენებთ — მართლაც გზაზე გადასაყრელები რომ ყოფილან. რედაქციას ასეთი წერილებიც მოუვიდა. ოღონდ უსახელოდ. გვარის მოუწერლად. ეს გასაგებიც არის. მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი ასეთი ბარათებიდან: **„მე რაიონში ვცხოვრობ. მყავს ქმარი და ორი შვილი... ქმარი სახელად მყავს, ხოფელში მამაკაცის და დედაკაცის საქმეც ჩემზე გადადის. დიდი ოჯახი გვქონდა და არ მინდა გაყოფარიდეთ. თუ არ გავუგონე, მისი თვალების ბრიალს ვერ გადავურჩები. ძალზე მწარე ინა აქვს: ტალახიან ფეხს რომ იწმენდს, მეც იქ უნდა ვიდგე. 8 წლით ვარ უმცროსი და მასზე ბევრად უფროსი ვჩანვარ. ჩე კი მიყვარს, პატივს ვცემ მაინც. როგორ მინდა მყავდეს კარგი ქმარი — მეუღლე, დამეხმაროს ყველაფერში, მაგრამ ამაოდ... მისამართს და ვინაობას ვერ გაიგნობრებთ. ქმრის შიშით... გამამწარებს“.** ეი კიდეკ გამოუსწორებელი, ჩხუბისთვი ქმრის პატრონი ქალის სტრიქონები (ეს წერილი ოთხ გვერდზეა გაჭრელებული. ჩანს ამით ის პატივს სცემს არა მარტო მამას, არამედ მთელ თავის საგვარეულოს და, რაც მთავარია, აღნიშნავს, თავის წარმომავლობას.

ოჯახში ქმრის თუ ცოლის მიზეზით ატეხილ აურზაურში კოზაკოვი გამოქუცერილი რჩებიან ბავშვები. „კომუნისტის“ რედაქციაში გამოგზავნილი წერილების ავტორთაგან ბევრნი ერთხმად იმაღლებენ ხმას ამ ბოროტმქმედების (დიახ, ბოროტმქმედებისა!) წინააღმდეგ. მოვიხსენოთ ტყიბულის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს, რუსპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს გულნარა ჭუმბურიძეს: **„ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკით ვიცი, რომ აკადემიურად ჩამორჩენილ, უხეშ და უდისციპლინო მოსწავლეთა უმრავლესობა სწორედ ასეთი მოუწესრიგებელი ოჯახებიდან არის. სტატიაში დასმული საკითხი ყველაზე მეტად ჩვენ გვეხება, როგორც აღმზრდელებს“.** არ გამიკვირდებოდა, პატივცემულ გულნარას თავისი ბარათი ამ ფრაზით რომ დაეფმთავრებინა: **„ადამიანებო, იყავით ფრთხილები, ნეფრთხილისან კეთილშობილი გრძნობა საჭირო, რომ იმ ნედლ მასალას, ბავშვი რომ ჰქვია, ჩვენი უხეში ხელის ანაბეჭდები არ დავაკაროთ!“.**

ჰო, მაგრამ, იკითხავს მკითხველი, ჩვენ ხომ ლ. ოჩაკოვსკაიას წერილის ირგვლივ გვქონდა საუბარი, იქ კი ასეთ ამბებზე არ იყო გამახვილებული ყურადღება. იქ სათაურიც ამას გაპკეთდა — „თქვენი ქმარიო“. ნება მომეცეთ, ჩვენც შემოგბრუნოთ კითხვა — რას ნიშნავს ქმარი, თუ არა ოჯახს, თუ არა თბილ, მყარ ჭერს, თუ არა შვილებს?..

წინამდებარე წერილი ერთი ამოსუნთქვით როდი დამიწერია. მასზე ვფიქრობდი ყველგან, სახლში, გზაზე, სამსახურში. თითქოს თან დამდევენ ავმოხმაურებული ბარათები, ადამიანები, მათი შეხედულებები, მათი აზრები, მათი ტკივილები, თუ ალტაცებანი. ყოველ ღირსშესანიშნავ წერილს რამდენიმე კუთხე ჰქონდა. ერ ვიცოდი რომელი მათგანისათვის მომეციო პირველად ხელი, ამოსავალ წერტილად გამეხადა. მაგრამ ერთი რამ თვალნათლივ მაშფოთებდა — ჩვენ: წერილთა ავტორები და მიმმახლელიც რაღაცით არ დავემგვანთო მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ერთ პერსონაჟს — ცუცქილას-მეთქი. იგი ხომ ქალთა კრებიდან ყოველი დაბრუნებისას გაკკითხა „მამაკაცები არამზადები არიანო“. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან.

ფოსტის გადათვალიერებისას ალაერთხელ შეგვხვდა ისეთი წერილებიც, რომელთა ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ ქალებსაც. ეი ოხელი ბედოვანი ე. მოსოშვილი: **„დასამალი არ არის ისიც, რომ ჩვენს სინამდვილეში არიან ისეთი ვაი ქალები ანდა ვაი ოდენები, რომლებიც ქმრიბს აიძულებენ და სთხოვენ „მაძღარ ცხოვრებას“. ამას კი ისინი დანაშაულებრივ მოქმედებამდე მიჰყავს“.** ტყიბულელი რ. გვენეტაძე უფრო მწვავედ აყენებს საკითხს: **„ალბათ კაპასი ცოლების ბრალია — მამაკაცთა გარკვეული ნაწილისათვის 60 წელი გარდაუვალი ზღუდე რომ გახდა!“.**

გასმით, ქალებო, რა ბრალდება შეიძლება წარმოვიდგინონ. თუ მეუღლეს, ქმარს მყუდრო ნავსაყუდარს არ შეუქმნით ოჯახში, არ მოუვლით, ადელვებულს არ დაამშვიდებთ, და რაც უნდა საოუოთად იყოთ გაზრდილი, ხელს აარიდებთ სარეცხს, სამზარეულოს.

როგორც ხედავთ, გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა ვერ მოხერხდა. ეს უმეტესად გამოხმაურების ერთგვარი „გამოდიოზელობით“ ყოის განპირობებული. ახლა კი ვფიქრობ, დროა დასასრულს მიეტანოს ბოლო მინდა მოვიყვანო ამონაწერი გეგიჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგის ახალგაზრდა ინოლდა პაპავას წერილიდან: **„ჩემი მომავალი მეუღლე ჩემს წარმოდგენაში ასახული მყავს როგორც პატივისცემისა და დაფასების ღირსი... მინდა მყავდეს ამისთანა ქმარი, რომ მისი სიტყვა, მისი საქმითა რჩევა ჩემთვის კანონი იყოს. მინდა ქმარი გზას მაძღვანებდეს საქმიანობაში და ხალიდიდო დახაყრდენად მეგულებოდეს. უნდა ვეცადოთ მივალწიოთ ურთიერთგაგებას, ქმრის ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებას, არ უნდა ეეცადოთ ბოლოს მისი დადებითი თვისებები, ქმარს პატივისცემით უნდა მოვეკყრთ. ამით ჩვენც მოგვემატება პატივისცემა“.**

როგორ ფიქრობთ, ასეთი განმსჯელი ქალიშვილი ალალბედზე, შემთხვევით ეძიებენ ლატარიის ბილეთზე დაიყრდნობს თავის მომავალ, საბოლოო ცხოვრებას? რასაკვირველია, არა! იგი აუცილებლად მძლავრ ფრთებზე ოცნებობს, დაეძებს და იპოვნის კიდეც — ამ ფრთებს. რადგან:

ფრინველი ფრენს ფრთითაო,
ქალი — თავის ქმრითაო.

ნაზი კილასონია.



გმირის ოჯახში

ყურძნის მაღალი მოსავლის ოსტატებით არის განთქმული ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მამა-პაპათაგან მოსდევთ ქარვისფერი მტევნების მოყვანის ოსტატობა. მათი შრომის, გამოცდილების, ცოდნის წყალობით იღებს კოლმეურნეობა ყურძნის სარეკორდო მოსავალს. მარტო გასულ წელს მევენახეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 640 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 350 ტონისა. განსაკუთრებით გამოირჩევა ალავერდელი მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი ილია გაჩეჩილაძე. სურათზე: სოფელ ალავერდის 70 წლის კოლმეურნე ილია გაჩეჩილაძე თავისი ოჯახით — შვილებით, შვილიშვილებით და შვილთა შვილიშვილებით.

ფოტო ს. თევზაძისა (საქართველოს ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

ვასალების ბოლოდინში

წულუკიძეში აგებენ საშუალო სკოლის სამსართულიან შენობას, რომელიც 740 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული. თუმცა მშენებლობა გარდამავალია, აღინიშნული უბნის მშენებლები ცდილობენ წელსვე მორჩნენ კედლების ამოყვანასა და შენობის გადახურვას.

სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით სასკოლო შენობათა გადართოებისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე. რასაც კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო უბანი (უფროსი ზ. ხუციშვილი) აწარმოებს. სოფელ დიდალაურის საშუალო სკოლისათვის 8 საკლასო ოთახის მიშენება შარშან დაიწყეს. შენობა გადახურეს, მაგრამ იმის გამო, რომ მშენებლებს ხე-ტყე და სხვა საშენი მასალები არა აქვთ, სამუშაოები შეჩერებულია.

მაღალმთიან სოფელ კინჩხის საშუალო სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. კაპიტალური რემონტისათვის სათანადო თანხა გამოიყო და სამუშაოს შესრულება აღნიშნულ სამშენებლო-სარემონტო უბანს დაეკისრა. მაგრამ აქაც, საშენი მასალების უქონლობის გამო, მშენებლები ახლოს არ გაჯარებიან სკოლას. მასალების ნაკლებობით ჭიანურდება წეულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატის კაპიტალური რემონტიც.

განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველო საჭირო და ვარგისი მასალებით ვერ უზრუნველყოფს სკოლებს. ამიტომაც არის, რომ 1 ივლისისათვის რაიონში მხოლოდ 13 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა და 300 ცალი ფიფარი ჰქონდათ შემოზიდული, ცემენტი კი სულაც არ მიუღიათ.

უფრო მეტიც. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ რაიონის განათლების განყოფილებას ივნისის ბოლოს გამოუგზავნა განრიგი მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში კასპის ცემენტის ქარხნიდან 27 ტონა ცემენტის გამოყოფის შესახებ და ამასთან ოფიციალურად აცნობა, რომ „ცემენტის მე-4 კვარტალიდან მე-3 კვარტალში გადმოტანის შესახებ სათანადო მითითება მიეცემა ქარხნას უახლოეს დღეებში“...

წულუკიძელებს სხვა სამართლიანი პრეტენზიებიც აქვთ. მართალია, სკოლებმა უკვე მთლიანად შეიძინეს მათთვის გამოყოფილი ახალი ინვენტარი და დგამ-ფეიჯი, მაგრამ ასე როდი ითქმის კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ნაკეთობებით შეასაღებ-იარაღებით უზრუნველყოფის შესახებ.

თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების ქუთაისის მაღაზიას სკოლებისათვის აუცილებელი საჭირო ბევრი ხელსაწყო არ გააჩნია. ამიტომაც არის, რომ სკოლებს მათთვის გამოყოფილი თანხების კვალობაზე ხშირად ერთსა და იმავე რამდენსამე ხელსაწყოს სთავაზობენ.

წულუკიძის რაიონის სკოლებს საჭირო დახმარება უნდა გაეწიოს საშენი მასალებითა და ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფის საქმეში.

ზ. ჯაბახაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ფელეტონი

ნიკას სკოლა

— ეარ გაგიზვებ! — ამ სიტყვებით წინ გადამიდგა ჩემი მეორე ნახევარი რუსუდანი და დამშვიდება დამიწყო.

— შენ ახლა ისე ხარ აღელვებული, არავის არ მოერიდები და ვინ იცის რას არ ჩაიდენ, — მეუბნებოდა შეშფოთებული მეუღლე და ბავშვებთან ერთად მტკიცედ იცავდა გასასვლელი კარის მისადგომებს.

— მაშ მე ვირი ვყოფილვარ! — ვღრიალებდი მთელი ხმით და გალიაში გამომწყვდეული ლომივით ვბორგავდი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემი შვილი ზურიკო მეოთხე მეოთხედის ბოლოს სკოლიდან თვალცრემლიანი დაბრუნდა, მათემატიკური სიზუსტით გადმომცა მათემატიკის მასწავლებლის ის სიტყვები, რომლებითაც მას მთელი კლასის წინაშე შეემკო ჩემი პირმშო.

— გაეთრიე გარეთ, შე მუტრუკო, დასრულებულო კრეტინო, ჩემს გაკვეთილზე არ გნახო შემოსული, სანამ მშობლებს არ მოიყვანს! — ასეთი ეპითეტებით შემკული გამოაგდეს სკოლიდან ზურიკო.

წინა დღით იმ მერვე კლასში, რომელშიც ჩემი შვილია, ოთხ ხაგანში — ქიმიაში, ისტორიაში, ფიზიკასა და ალგებრაში ჰქონიათ საკონტროლო წერა. ეტყობა, ზოგიერთი მასწავლებელი, რომელიც მეოთხედის განმავლობაში „ვერ ასწრებს“ მოსწავლის გამოკითხვას, ერთი საკონტროლო წერით ცდილობს ნიშანი დაწეროს. ზურიკოს ამოცანა კი გამოუყვანია, მაგრამ წერტილებისა და ძმძოების დასმაში დაშვებული შეცდომებისათვის მუტრუკის ეპითეტი დაუმსახურებია. წინასწარი გამოძიება დავამთავრე და ახლა წიგნის კარადას ვეცი. საბას ლექსიკონი მოვძებნე და სიტყვა „მუტრუკის“ განსწვრივ შემდეგი განმარტება ამოვიკითხე: „ვირის კვეცი“.

მთელი ღამე ძილი არ მომკარებია და დაჭრილი დათვივით ვბორგავდი. დილით სამსახურის ნაცვლად სკოლაში გამოვცხადდი. მასწავლებლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩემს გამოჩენას. ალბათ იმიტომ, რომ სულ დიოობი დადიან მშობლთა კრებებზე და მასწავლებლებს დაავიწყდათ, რომ მათს მოსწავლეებს მამებიც ყავთ.

პირველად კლასის ხელმძღვანელს ვისაუბრე. გამიხარდა, რომ მან კარგად დაახასიათა ზურიკო.

— ზურიკო არ არის ცუდი მოწაფე, მხოლოდ ალგებრის მასწავლებელი იმდენის ამ ბოლო დროს და საშემოდგომო გამოცდას გამოაყოლებს თავის საგანში.

— როგორ, ქალბატონო! — წამოვიყვირე. ჩემდა უნებურად, მამა-შვილი გავალანძღი და ეს კიდეკ ის გვიმდურის?

კლასის ხელმძღვანელმა ალგებრის მასწავლებელი მოძებნა და ორივენი შეგვიყვანა დირექტორთან.

— ოჰ, მობრძანდი, ვაუბატონო! შენ ჯერ კიდევ არ წაგიყვანია სხვა სკოლაში ის შინი კრეტინი ბავშვი? — ასეთი ზრდილობიანი სტატვებით შემეგება სკოლის დირექტორი და ნათლად დამარწმუნა, თუ ვინ არის იმ ბრწყინვალე ეპითეტების ავტორი, რომლებიც ზოგიერთი მასწავლებელი ამ-ბობს თავის მოწაფეებს გაკვეთილებზე.

— ბატონო, სად უნდა წავიყვანოთ ბავშვი, როცა თქვენი სკოლა აქვეა, ყურის ძირში. ან რა დაეშავა ისეთი ჩემმა ზურიკომ, რომ VIII კლასის მოსწავლეს ქუჩაში აგდებთ, — შეეკამათე განრისხებულ დირექტორს.

— სადაც გინდა, იქ წაიყვანე, ეგ არ არის ჩემი საქმე, მე იმიტომ მეძახიან კარგ დირექტორს, რომ არც ერთი მეორეწლიანი მოსწავლე არა მყავს სკოლაში, ორ წელიწადს კი არა, ორ დღესაც არ გავაჩერებ ისეთ ბავშვს, რომელსაც მეოთხედის ბოლოს „ორიანი“ გაუმუყვნია. მე ჩემი სტილი და მეთოდი მაქვს მუშაობისა, — ამაყად განაცხადა დირექტორმა.

— მართალს ბრძანებთ, ლევარსი ილიბისტროს-ძეო, თქვენი სკოლა აკადემიაა, ნამდვილი აკადემია, ყოველი მეოთხედის ბოლოს წმენდას რომ არ ახდენდეთ, მაშინ სად გიქნებოდათ ასეთი ნარმატება? შეაქო დირექტორი მათემატიკის მასწავლებელმა.

— რვა კლასი მაინც დაამთავრებინეთ, ბატონო, ჩემს ზურიკოს და მერე წავიყვან სადმე, თუ თქვენს სკოლაში ალარ ეედგომება. ნუ დამიდუპავთ ბავშვს.

არ ვიცი, ჩემმა სიტყვებმა მოულბო გული დირექტორს თუ მის მიერ მომზადებული სპეკტაკლის ეს ხანგრძლივი ავტორის ნაფიქრის მიხედვით დამთავრდა, ხელი მაღლა ასწია გამარჯვებული სპორტსმენივით და განაცხადა: დავტოვებ შენ შვილს სკოლაში, თუ კეთილი მასწავლებელთან მოამზადებ.

ახლა, როცა ფონი გასულად ჩავთვალე, ცოტა არ იყოს გული მომეცა და დირექტორს შევკადრე: — კი მოვამზადებ, ბატონო, ჩემს შვილს, მაგრამ თქვენ სკოლაში რაღას ასწავლიან მას, თუ კეთილი მასწავლებლის დაუბმარებლად ვერ გადავა შემდეგ კლასში და ამ სკოლიდან გამორიცხავთ ცუდი ნიშნისათვის. მეც ვიყავი მოწაფე, ვის არ გასჭირვებია ამა თუ იმ საგანში, მაგრამ მასწავლებლები გაკვეთილების შემდეგ დამატებით გვამეცადინებდნენ და მოსწავლეთა დიდ სიყვარულსაც იმსახურებდნენ. — დავამთავრე განსაკუთრებული მეთოდით მოშუშავე დირექტორისადმი მიმართული სიტყვა.

— წაიყვანე ახლა შენი მოსწავლის მშობელი, სანამ გადავიფიქრებდე და ამანათივით შინ გავუგზავნიდე თავის კრეტინ შვილს, — მიმართა დირექტორმა კლასის ხელმძღვანელს.

დირექტორის კაბინეტიდან გამოგნებული გამოვედი და ისე ვიყავი არეული, რომ მათემატიკის მასწავლებელს, რომელიც თან გამომყვა, მხარზე ხელი დავკარი და შევეკითხე, დირექტორმა რაზე გამოგიძახათ, თქვენს ბავშვს რამდენ საგანში ჰყავს ორიანები?

— ბატონო, ეს ფონი ალბათ ჩემ-ზეა, — ამ ფრაზამ ცოტა ალბა ალბა ... ეს ... ბავშვ ... ბ ... ბ ... ბ

ხილი მიირთვი, ტოტებს რაღას ამტვრევ?!

ჭის არ ახარებს ის ამბავი, რომ ჩვენი რესპუბლიკის გზებსა და გაშიშვლებულ ადგილებზე უკანასკნელ წლებში ათასობით და ათათასობით ხე და ბუჩქი ირგვება. მეტადრე ისეთი ძვირფასი ხეხილი, როგორიც არის ვაშლი, მსხალი, ჭერამი, ატამი, ბალი... ამან არა მარტო შნო და ლაზათი შემატა ჩვენს მიწა-წყალს, არამედ მნიშვნელოვნად შეცვალა ჰავა, ბევრი წყარო გადაარჩინა დაშრობას. ხილი კი, როგორც იტყვიან, მიირთვით რამდენიც გნებავთ!

ყველაფერი ეს შენთვის არის, ადამიანო, ბუნების შვილო და მეგობარო!

ვინც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ყოფილა კახეთის გზატეხილზე, დღეს ვეღარ იცნობს მას. მოტიტლეულ მთებსა და ველებზე გაშენდა მარადმწვანე წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეები, გზებზე, რიდლის რომ ვერსად ამოვნიდით თავშესაფარად, გაყოლებულია მრავალმწკრივიანი ქარსაფარი ზოლები; უფრო სწორად, ეს ხეხილის ბაღებია, ყველასათვის ხამო და ხელმისაწვდომი.

ოდითგანვე ადამიანი ისეთ ადგილებზე სახლდებოდა, სადაც უხვად იყო ტყე და წყალი — სიცოცხლის უპირველესი წყარო. ახლა კი წყალი მიჰყავს და ტყეს აშენებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება.

შირაქს არ იტყვით?!— საქართველოს პურის ბელელს რომ უწოდებენ. — აქ ათიოდე წლის წინათ ერთ ხეს ვერ იპოვნიდით. ორ-სამ წელიწადში ერთხელ გვალვა მთლიანად სპობდა მოსავალს. კარგა ხანს იყო გავრცელებული მითი იმის შესახებ, თითქოს შირაქში ხე არ ხარობდა. აბა, ახლა ნახეთ მწვანე კვადრატებში ჩასმული ეს უზარმაზარი ველი! მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში აქ 628 ჰექტარი სახელმწიფო ქარსაფარი და 815 ჰექტარი საკოლმეურნეო მინდორსაცავი ზოლები გაშენდა. შირაქის ზეგანზე დასახლებული სოფლები — ზემო ქედი, არხილოსკალო და ქვემო ქედი ბაღ-ვენახებში ჩაეფლო, მავიც სულ ერთიანად შეიცვალა. სწორედ ამის შედეგიც არის, რომ უკანასკნელ ხანს წითელწყაროს და სიღნაღის რაიონების მშრომელები მარცვლეულის უხვ და მყარ მოსავალს იმკიან.

ქარსაფრებსა და გზის პირებზე გაშენებული ხეხილის ტოტები დახუნძლულია ნაყოფით. იქვე აბრებზე აწერია „ხილი მიირთვით, ტოტებს ნუ დაამტვრევთ!" მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას ასე როდი ესმის ეს? ხაწყენი და გულსაკლავია, როცა, გაფრთხილებისა და შრომის ნაცვლად, ხეხილის ტოტები ჩამოლეწილი, ზოგჯერ კი მთელი ხე შუაზეა გადახლეჩილი ხარბი და უსულგულო ადამიანების მიერ.

ეს ძალზე სწყინს ყველა პატიოსან და მშრომელ ადამიანს, მით უმეტეს მათ, ვინც დარგეს და გაახარეს ისინი. ამის შესახებ ბმა ითმაღლა და მშრომელთა არა ერთი წერილი გამოაქვეყნა წითელწყაროს რაიონულმა გაზეთმა „ახალმა შირაქმა", დამწაფვენი განსაკუთრებით მკაცრად იყვნენ გაკიცხული წერილებში:— „სირცხვილია, ხირცხვილი", „ყური მაგრად ავუწიოთ", „უსულგულონი" და სხვ.

აი რას წერს არხილოსკალოელი მწყემსი-მოლეკხე ლადო ჩოხელი, რომელსაც განახლებული შირაქის მომლერალს ეძახიან.

„...ყველა როდი უფრთხილდება ხეთა სიცოცხლეს, ხალხის შრომას, ჩვენი ქვეყნის სილამაზესა და დოვლათს. ვინ არიან ესენი? ეს უსულგულო ადამიანები? უთუოდ ისინი, ვინც არ იცის, რა არის შრომა და ოფლის ნაკეთი. ასეთი ადამიანები დროზე უნდა გამოვავლინოთ, საჯაროობაზე გამოვიყვანოთ და გავიკიცხოთ. მათ უნდა იგრძნონ, რომ უფლება არა აქვთ საზოგადოების შრომა აბუჩად აიგდონ!"

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზრდებს ვ. ოგანესიანს, პ. ფილიპოვსა და ვ. ბალაევს დანშაულის ადგილზე წაასწრეს. მათ უხვად დეემტვრიათ ბალისა და ჭერმის ტოტები სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ქარსაფარ ზოლში და „ნადავლს" ჩრდილში! არხეინად შეექცეოდნენ. ეი სწორედ ასეთებს ეხება კრილოვის ცნობილი იგავი „ღორი მუხის ქვეშ" — ღორი რომ გამოძღა და ფესვებს დაუწყო თხრა.

ხილის კრეფასა და ტოტების ლეწვაში კარგად არის „დახელოვნებული" ქ. წითელწყაროში მცხოვრები შ. პოპიაშვილი. მან მთელი ოჯახი და შემდეგ კი შეზობლები ჩააბა ამ საქმეში. ტონობით ხილს უმზადებს საკონსერვო ქარხნებს. ერთხელაც არ უკითხავს არც მას და არც სხვას მისთვის: ეს ხილი ვისია?!

როცა სიღნაღის რაიონის, წნორის ხილბოსტანდამზადების კანტორის მუშაკებმა გაიგეს, რომ ფულის შოვნა უფრო იოლი გზით შეიძლება, პუნქტის გამგეები მ. გურაშვილი და ფ. ღორაშვილი თვითონ წავიდნენ ფულის საშოვარზე. მანქანებიც იშოვნეს და მუშახელიც. კურსი შირაქის ქარსაფრებისაკენ აიღეს. რამდენიმე საათში ერთი მანქანა ჭერამი დაამზადეს და მხოლოდ მაშინ „გადიგეს" თუ ვის ეკუთვნოდა ეს დოვლათი, როცა დანშაულზე არხილოსკალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. კობაიძემ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ა. ციხელაშვილმა წაასწრეს და კინწისკვრით გამოყარეს. მაგრამ ეს ხაკმარისი იყო იყო. ამას კოლმეურნეობის მესხეურები მაშინ მიხვდნენ, როცა მათი „ნაომარი" ადგილი კარგად ნახეს.

თბილისის მომართულებით ბოფელ ბოდბეს რომ გასცდებით, გზის ორივე მხარეს რამდენიმე ზოლად გაშენებულია ჭერმის, ატმის და ალუბლის ხეები. ეს ხილნაღის რაიონის სოფლების ბოდბის, მაღაროს და ულიანოვკის კოლმეურნეთა ნახელავია, ხილი კი შეუძლია ისარგებლოს ყველა მგზავრმა. მიირთვით, შეგერგოთ, დაუმადლებელია! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხეები ის არის, რომ ხეებს პირველადელი ხახე დაუკარგავთ. დანშაულზე ყველას ვერ წაასწრებ, მაგრამ სინდისი უნდა ჭეშინდეს ასეთ ადამიანებს. ის, ვინც ხეხილს ამტვრევს, სხვა დანშაულსაც იოლად ჩაიდენს, ამიტომ, ზედმეტი როდი იქნება ამ საკითხზე ყურადღება გამახვილონ შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებებმა, რამდენიმე დამნაშავე სანიმუშოდაც უნდა დასჯონ. თუმცა, მარტო არც ეს კმარა. ამაზე ხმა თოელმა საზოგადოებრიობამ უნდა ამაღლოს.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს უკანასკნელ სესიაზე, რომელმაც განიხილა ბუნების დაცვის საკითხი, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბუნების დაცვა და გამდიდრება ადამიანთა უკეთილშობილესი მოვალეობაა.

სხვა გზა არ არის, — ის ადამიანები, რომლებიც ხელყოფენ ჩვენი ქვეყნის დოვლათსა და სილამაზეს, რომლებზეც არ მოქმედებს საზოგადოებრივი რჩევა, დარიგება და გაფრთხილება, მკაცრად უნდა დაისჯონს!

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

აბა ამას ადამიანი იზამს!

ხურათებზე აღბეჭდილია ბოროტი ხელის ნამოქმედარი — ტოტებჩამოლეწილი ჭერმის ხეები. მარჯვნივ — სოფელ ბოდბე-ულიანოვკის მისადგომებთან; მარცხნივ — შირაქის ცენტრალური გზაზე.

ფოტო ბ. არქანმენაოსი.

კომუნისტი

სტარტზეა ახალი ტაქრი

6 ივლისი საკავშირო ჩემპიონატის ახალი ტურის დღეა „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის ფიზბურთელთა გუნდებისათვის. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება 7 მატჩი. ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენს მატჩი თბილისში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს" გუნდები. ამ მატჩს შედეგს მეტოქეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, ლიდერს — ცსკა-ს პონიციის განმტკიცება სწადია და შეეცდება კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში იდგეს. თბილისის დინამოელთათვის მეჯერად ქულის დაკარგვაც კი მეტად მძიმე იქნება. სწორედ ამიტომ ამ მატჩში უნდა მოველოდეთ უკომპრომისო ბრძოლას.

არანაკლებ საინტერესოა მატჩი მოსკოვში დიდოქალაქის „ტორპედოსა" და კიევის „დინამოს" შორის. ბაქოში შეხვდებიან ადგილობრივი „ნეფტჩი" და ერევნის „არარატი", დონეცკში — „შახტიორი" და ორჯონიკიძის „სპარტაკი", ვოროშილოვგრადში — „ზარია" და მოსკოვის „სპარტაკი", დონის როსტოვში — არმიის სასპორტო კლუბის გუნდი და მოსკოვის „დინამო", მინსკში — ადგილობრივი „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი", ტაშკენტში — „პახტაკორი" და ქუთაისის „ტორპედო".

კალათბურთელთა ჩემპიონატი

ფინეთში აქვს საკავშირო ჩემპიონატს კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტარტუს „კალევისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდები. მძაფრ ბრძოლაში წარმატება „კალევს" ხვდა 57:56.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ვხედავთ, რომელიც უახლოეს მეტოქეს — კიევის „სტროიტელს" 5 ქულით უსწრებს.

ფინალში გავიდნენ

[illegible] საერთაშორისო ტურნირის [illegible] ფინალურ უახლოესობა.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელები ო. მოროზოვი და ა. მატრეველი, რომლებმაც კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ფინალში გავიდნენ.

გოგონათა ასპარეზობაში საბჭოთა ჩოგბურთელმა მ. კროშინამ ნახევარფინალში დაამარცხა ინგლისელი ბლეჩფორდი და ფინალში გავიდა.

„ბურევესტნიკს" — ჩემპიონთა თასი

3 ივლისს ალმა-ატაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის ჯამბაზების მეორე ფინალური მატჩი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და ჩეხოსლოვაკიის „ბანიკ ბრნოს „სბროიოვკას" გუნდები. გაიმარჯვეს ალმაატელებმა ანგარიშით 3:1 და თასი მოიპოვეს.

სახელმწიფო 3-% შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 32-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1970 წლის 30 ივნისს ქალაქ რიგაში.

მოგება ხვდა სესხის ოცდაერთმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100138	1—50	40	140459	22*)	500	172157	33*)	500
100408	14*)	500	142887	48*)	500	172178	45*)	1.000
100593	1—50	40	143481	15*)	500	172272	44*)	500
100956	1—50	40	143943	41*)	500	172672	1—50	100
102742	1—50	40	143996	15*)	500	173747	08*)	500
102764	49*)	500	144046	1—50	100	174213	13*)	500
104055	27*)	1.000	144340	04*)	500	176087	1—50	40
104350	39*)	500	144519	07*)	500	176507	31*)	500
104802	27*)	1.000	144670	1—50	40	176912	21*)	500
108263	36*)	500	145296	24*)	500	177088	39*)	500
110140	32*)	500	145583	38*)	500	178752	41*)	1.000
110680	26*)	500	146613	41*)	500	179786	31*)	500
113950	43*)	500	146620	37*)	500	180021	1—50	40
114266	1—50	40	146916	04*)	500	180652	40*)	500
115582	1—50	100	147185	37*)	500	180705	01*)	500
115989	32*)	500	148925	13*)	5.000	180711	01*)	500
116002	1—50	100	148968	17*)	500	181570	39*)	500
116391	38*)	500	149003	38*)	500	181637	1—50	40
116954	07*)	5.000	149299	1—50	100	182244	09*)	500
118238	36*)	500	150051	1—50	40	182749	40*)	500
118350	1—50	40	150631	08*)	500	184605	38*)	500
119502	18*)	500	150884	1—50	40	184838	37*)	1.000
119922	15*)	500	152204	1—50	100	186250	30*)	500
120058	42*)	500	152401	20*)	500	186291	08*)	500
121342	10*)	2.500	152658	35*)	500	187430	19*)	2.500
121526	15*)	500	153467	1—50	40	188418	1—50	100
122011	27*)	1.000	154132	1—50	40	188968	1—50	100
122547	08*)	1.000	154475	1—50	40	189143	04*)	1.000
123273	48*)	500	154883	1—50	40	189903	36*)	500
123889	34*)	500	155297	14*)	500	189979	09*)	500
124445	1—50	100	156328	18*)	500	190300	08*)	500
124452	37*)	500	156645	29*)	500	190314	19*)	2.500
125207	21*)	500	156999	19*)	500	190334	02*)	1.000
126178	38*)	500	157072	1—50	40	190538	48*)	500
126562	16*)	1.000	158117	05*)	500	191005	1—50	100
127888	1—50	100	158198	1—50	40	191108	29*)	500
127923	1—50	40	158886	16*)	500	192810	07*)	500
127945	1—50	40	159174	25*)	500	192940	44*)	500
128026	1—50	100	159202	1—50	40	193370	02*)	500
128268	17*)	1.000	160135	32*)	2.500	193912	46*)	500
129425	1—50	40	160250	38*)	500	193999	24*)	1.000
129923	18*)	1.000	160549	41*)	500	194453	46*)	500
130330	1—50	40	160972	43*)	500	194464	49*)	500
130862	41*)	500	161889	1—50	40	194554	15*)	500
130930	1—50	100	163070	46*)	500	195030	1—50	40
131530	1—50	40	163580	43*)	500	195127	49*)	500
131744	14*)	500	163754	30*)	500	195618	43*)	1.000
132155	02*)	500	163986	22*)	500	195749	20*)	500
132375	19*)	500	164240	13*)	1.000	196215	1—50	40
132619	47*)	500	164317	30*)	1.000	196705	41*)	1.000
133845	49*)	500	166033	31*)	500	196794	1—50	40
134284	14*)	1.000	167554	33*)	500	196971	1—50	40
134603	1—50	40	167654	09*)	1.000	196992	17*)	500
134884	02*)	2.500	168404	1—50	40	198276	14*)	500
134943	1—50	40	169799	40*)	500	198376	40*)	500
136006	30*)	500	169963	1—50	40	198693	25*)	500
136022	01*)	500	170390	1—50	100	198797	1—50	40
137229	48*)	500	170539	1—50	40	198858	1—50	100
137232	1—50	40	171132	03*)	500	199248	1—50	40
138850	02*)	500	171315	44*)	500	199302	07*)	500
139259	11*)	500	171593	23*)	500	199490	50*)	500
139794	22*)	500	171839	21*)	500	199870	24*)	500
140117	33*)	500	172015	40*)	1.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — რიგის მშრომელთა დეპუტატების საკალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ა. ზიემელნის-ყაღიკისი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ბ. ეზინა



გმირი ქალაქის ტაში

გასტროლები ვოლგოგრადში

ვოლგოგრადი, 4 ივლისი. გუშინდელი სამუშაო დღე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივისთვის შედარებით ადრე დაწყო. დილის 12 საათზე ქართველ მსახიობებს ვოლგოგრადის ძრაფების ქარხნის კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ქარხნის ყველაზე დიდ საამწყობო საამქროში გაიმართა საშეფო კონცერტი, რომლის დაწყებას წინ ჩვენს მსახიობებს ქარხნის სამათასიანი კოლექტივის სახელით მიესალმა დირექტორი მ. კაშირინი. საპასუხო სიტყვას ამბობს თბილისის საოპერო თეატრის დირექტორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე. შემდეგ ქართველი მსახიობების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

საღამოს ვოლგოგრადის გორკის სახელობის დრამატულ თეატრში წარმოდგენილ იქნა პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი" დიდი თეატრის სოლისტის სსრკ სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის მონაწილეობით, რომელიც დღეს გერმანის როლის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად არის აღიარებული.

სხვა ძირითადი პარტიები იმღერეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ნ. ქაჯაიამ (ლიზა), რ. კაკაბაძემ (ტომსკი), შ. გაშალომიძემ (ჩეკალინსკი), სოლისტებმა კ. ლაშქარიოვამ (გრაფინა), ლ. ღვედაშვილმა (პოლინა), მ. დონაძემ (ელეცკი).

სპექტაკლს, რომლის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ კვალაშვილი, დირიჟორობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი.

ოპერას დიდი წარმატება ხვდა, სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე მაყურებელს გამოეესაუბრეთ. თოთქმის ყველა აღტაცებით ლაპარაკობდა ზ. ანჯაფარიძის ბრწყინვალე ვოკალურ ხელოვნებაზე, დიდ არტისტიზმსა და ტემპერამენტზე. აღნიშნავდნენ სხვა მომღერლების ოსტატობას და მაღალ პროფესიონალიზმს, აი რა გვითხრა რუსული ლიტერატურის მასწავლებელმა ბორის გოლუბევმა, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილემ:

ჩემი ხნის ყველა ვოლგოგრადელი სტალინგრადის ბრძოლის მონაწილეა. ძალიან მიყვარს საოპერო უანრი, ვნახე „დაისი" და „პიკის ქალი". პირველი ჩემთვის ნანამდვილი აღმოჩენა იყო, ხოლო მეორემ ნაცნობმა და მრავალგზის მოსმენილმა ქართველი ოსტატების შესრულებით განსაკუთრებული სიამოვნება მომანიჭა. „დაისმა" სტალინგრადის მძიმე დღეები მომაგონა. და აი რატომ... ჩვენს ასეულში იყო ერთი ქართველი მეტყვეიამფრქვევე სახელად ლადო, სამწუხაროდ, გვარი დამავიწყდა. იგი ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა. უყვარდა მუსიკა, მღეროდა, ხატავდა. განსაკუთრებით ერთ სიმღერას იმეორებდა ხოლმე, არასოდეს არ გვიკითხავს რას მღეროდა, ძალიან შთამბეჭდავი მელოდია იყო და დღემდე დამრჩა შეხსიერებაში. ამ სიმღერას ისევ შევხვდი „დაისის" წარმოდგენაში. მხოლოდ ახლა, 30 წლის შემდეგ, შევიტყე რას მღეროდა ჩვენი ლადო, რატომ უყვარდა ეს ვოკალური სიმღერა განსაკუთრებით. თურმე ეს ყოფილა კიაზოს სიმღერა — დამისი, დამალევინე.

4 ივლისს მაყურებელი ნახავს დონეცკელების ოპერას „დონ-პასკუალეს".

ლ. კიკნაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ვოლგოგრადი.

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა დარეჯან ჯოჯუამ, მედეა ნემსიწვერიძემ და თამარ ტრუბეცკაიამ წარმატებით ჩაბარეს გამოსაშვები გამოცდები სტუდიაში. მალე მათ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ვიხილავთ.

ფოტო ს. კილაძისა.

ხელოვნების ქრონიკა

ოქროს მედალი — ქართველ კერამიკოსს

თბილისის სამხატვრო აკადემიის სახელზე მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა. „სსრ კავშირის მხატვართა კავშირი ულოცავს რევაზ მეტრეველს ვალორისში (საფრანგეთი) ოქროს მედლის მინიჭებას".

რ. მეტრეველი მიწვეულია საფრანგეთში ჯილდოს მისაღებად. (საქდესი).

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ჭიათურა. (საკ. კორ.): ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ბ. ბარათაშვილის „სართულები".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გრ. ტყაბლაძემ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

როლებს ასრულებენ — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. ბარათაშვილი, ნ. ჩაჩანიძე, ნ. ქამუშაძე, მსახიობები დ. ჯაფარიძე, ი. ჯიშკარიანი, თ. ინასარიძე, რ. ჩაჩანიძე და სხვ.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

გამოფენა ვითაფმინლაზე

საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა მთაწმინდის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ბიბლიოთეკის დარბაზში მოაწყო გამოფენა „საქართველოს თეატრების მუშაკები — დიდი სამამულო ომის მონაწილენი".

გამოფენა მოამზადეს თეატრალური მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა ს. ხეტაგმელმა და ფოტოგრაფმა ბ. ანთიძემ.

ხ. რამიშვილი.

თბილისელი მაყურებელი ორშაბათიდან გაეცნობა აგრეთვე მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის ახალ ნაწარმოებს — ი. ვრიგორიევის მიერ დადგმულ ფილმს „დღე და მთელი სიცოცხლე".

სურათში მოთხრობილია რუს დედაზე, რომელმაც ომისა და ომისშემდგომი წლები მიუძღვნა შვილის აღზრდას და საზოგადოებას შემატა ნამდვილი ადამიანი, ღირსეული მოქალაქე.

სურათზე: კადრი ფილმიდან „შავი ტიტა".

ეკრანის სიახლენი

ნახეთ თბილისის კინოთეატრებში

ფილმი „შავი ტიტა" ორშაბათიდან უნდა გამოვიდეს ეკრანებზე. იგი შექმნილია ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. სცენარი დაწერეს პოლ ანდრეოტმა, ანრი უანხონმა და კრისტიან-ჟაკმა. რეჟისორია კრისტიან-ჟაკი.

ფილმში, ისევე როგორც რომანში, მოთხრობილია ორი ძმის თავგადასავალი. ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს გარეგნობით. ძმების ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე აგებულია მათი თავგადასავალიც.

ახალი ფრანგული ფილმი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში შეხვდებით პოპულარულ კინომსახიობებს ვირნა ლიზის და ალენ დელონს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, მეგობარსა და ამხანაგს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ღრმა მწუხარება რესპუბლიკის სახალხო არტისტის ბათუ ერაკლის-ძე კრავეიშვილის გარდაცვალების გამო.

ბ. კრავეიშვილის ოჯახი.

რადიო

6 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 09.25 — შ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „მინდია", 11.05 — ვერდი. ფრაგმენტები ოპერა „აიდადან", 11.45 — გ. ყანჩელი. სიმღერები, 12.10 — საუბარი „რეზერვები მოქმედებაში", 12.25 — რუს კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მედოლის ბედი" (ნაწილი მეორე), 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ბ. მეტიუსი. ვოკალური ციკლი „დღედ", 19.00 — საუბარი „ლენინი იმპერიალიზმის, როგორც სოციალისტური რევოლუციის წინა ღამის შესახებ", 19.20 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 19.45 — ს. რახმანინოვი. სორკესტრო ფანტაზია „ქარაფი", 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — გუნო. ოპერა „ფაუსტიდან" (მონტაჟი), 22.50 — პიესები კლარნეტისათვის რ. ჯიბლაძის შესრულებით, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

5 ივლისი

09.30 — უმადლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასაბამარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 10.30 — „მუსიკალური კითხვა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი — „სად არის შენი შედეგები, მზია", 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — გადაცემა „მსოფლიო ხელოვნების საგანძური", 18.20 — „მუსიკალური სუვენირები" — კონცერტი ტელემაყურებლთა თხოვნით, 19.05 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დადგმა „ვეძებ ჩემს მკვლელს" (პრემიერა), 20.50 — კინონოკავი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „შვიდი დღე" — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — კინოლექტორიუმი.

თეატრები

5 ივლისი

ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში) — გვეჩვენება გმირი ქალი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე (სეზონის დასურვა).

კინო

5 ივლისი

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, თბილისი — გაზაფხულის წყლები; ისანი (საზამთრო), ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ბათუმი — მონა ქალი; ამირანი (საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — გაუმარჯოს სიყვარულს (I, II სერია); კოლხიდა (საზაფხულო) — მკვლელობა მყუდრო უბანში; ნაკადული — ბერაკლეს საჭმენი ხამირონი; თანამგზავრი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კომკავშირელი, ეკრანი — ხამმავი შემოწმება; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ხაიხა (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — ოუდენიჩის განადგურება.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ვაკე)

6 ივლისს

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის (უმაღლესი ჯგუფი).

ცსკა — „დინამო"
(თბილისი)

ძირითადი შემადგენლობა.

დასაწყისი 7 ს. და 30 წ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„ბურევესტნიკი" — „ბანიკ ბრნო"

„